



## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

#### ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეზე №1/3/1263, არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმით, რომ სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილად ითვლება მისი სარეზოლუციო ნაწილის გაცნობის დღეს, ხოლო სამოტივაციო ნაწილის გადაცემა ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირისათვის ხდება შემდეგ. ამასთან, სამოტივაციო ნაწილის გაცნობის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ დადგენილების სამართლებრივი შეფასება და გასაჩივრება, რაც, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებულ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

შედეგად, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ იქნა კანონის პროექტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება მხარისათვის შესაბამისი დადგენილების ჩაბარებიდან.

## „მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ კანონი

2019 წლის 12 ივნისს პარლამენტში წარდგენილ იქნა კანონის „მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ“ პროექტი, რომელიც დაარეგულირებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებს. კანონპროექტი ითვალისწინებს „სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებებისა“ და „დისტანციურ ხელშეკრულებათა“ საკანონმდებლო განმარტებას. აღსანიშნავია, რომ კანონის შემოღების შემთხვევაში, მოხდება შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამოქალაქო კოდექსში, „კონკურენციის შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“ კანონებში.

## „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონი

პარლამენტს წარდგინა კანონპროექტი, რომელიც თამბაქოს საწინააღმდეგოდ მორიგ რეგულაციებს ითვალისწინებს. იგი ეხება ე.წ. ტრადიციულ თამბაქოსთან ერთად თამბაქოს ახალი ნაწარმის (მ.შ. ელექტრონული სიგარეტის ფორმით) მიმართ მოხმარების წესების საკანონმდებლო რეგულაციების შემოღებას. შემოთავაზებული ცვლილებები უთანაბრებს არატრადიციული ტიპის თამბაქოს ნაწარმს ტრადიციულ თამბაქოს და აქცევს რეგულირების საერთო სფეროში. კანონპროექტი ითვალისწინებს თანმდევ ცვლილებებს საგადასახადო კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „რეკლამის შესახებ“ კანონში.

## „რეკლამის შესახებ“ კანონი

შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებს აზარტული თამაშების და ტოტალიზატორების რეკლარმების რეგულაციებს. კანონის მიღების შემთხვევაში, შემოთავაზებული ცვლილებები აგრეთვე აისახება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში. შემოთავაზებული ცვლილებებით გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის სანქციები გათვალისწინებული იქნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისთვის დამატებული 158<sup>8</sup>-ე მუხლით.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებათა პაკეტი ითვალისწინებს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონით საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის აკრძალვას ურთიერთობა დაამყაროს უცხოური სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ კომპანიებთან მათ სასარგებლოდ გადახდების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, საგადახდო მომსახურების პროვაიდერს აკრძალვება მის მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათით უცხოური სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი კომპანიის სასარგებლოდ ინტერნეტ სივრცეში გადახდის განხორციელება.

## შრომის კოდექსი

საქართველოს პარლამენტში წარდგენილ იქნა ორგანული კანონის პროექტი შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებები ეხება სამუშაო დროის ხანგრძლივობის, აღრიცხვის, ზეგანაკვეთური სამუშაოსა და მისი ანაზღაურების, ასევე ღამის სამუშაოსა და უქმე დღეებში მუშაობის საკითხებს.

შემოთავაზებული რედაქციით, სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში კვლავაც 40 საათს შეადგენს, გარდა სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოებისა. მნიშვნელოვან დამატებას წარმოადგენს პუნქტი, რომლის თანახმად დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის განსაზღვრული სამუშაო დღეების რაოდენობა რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს არ შეიძლება აღემატებოდეს კვირაში 6 დღეს.

აგრეთვე შემოთავაზებულია შესვენების რეგულირების წესიც, კერძოდ: თუ სამუშაო დროის ხანგრძლივობა 4-დან 9 საათამდეა, შესვენების დრო უნდა იყოს სულ მცირე 45 წუთი; თუ სამუშაო დროის ხანგრძლივობა 9 საათს აღემატება, შესვენების დრო უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი მაინც. ღამის სამუშაოზე დასაქმებულს, თუ მისი სამუშაო დროის ხანგრძლივობა აღემატება 4 საათს, დამატებით უნდა მიეცეს შესვენების 60 წუთი მაინც. დამსაქმებელს ეკისრება სამუშაო დროის აღრიცხვის ვალდებულება.

ცვლილებები კრძალავს იძულებით ზეგანაკვეთურ სამუშაოს, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. ზეგანაკვეთური დასაქმებულის წერილობითი თანხმობის არსებობა, ამასთან, საყურადღებოა, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებაზე მხარეები უშუალოდ ყოველი ასეთი სამუშაოს წინ მაქსიმუმ 1 კვირით ადრე უნდა შეთანხმდნენ წერილობით, გარდა ისეთი გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელიც ასეთ შეთანხმებას შეუძლებელს ხდის. დასასრულს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კანონით განისაზღვრება ზეგანაკვეთური სამუშაოს მინიმალური ანაზღაურების ოდენობა, კერძოდ: ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, თუმცა იგი უნდა იყოს არანაკლები ხელფასის საათობრივი განაკვეთის 50%-ით გაზრდილი ოდენობისა. აღსანიშნავია, რომ კანონით გათვალისწინებულ უქმე დღეებში დასაქმებულის მუშაობა განიხილება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და ანაზღაურდება კანონით გათვალისწინებული გაზრდილი ოდენობით.

ცვლილებები ითვალისწინებს ღამის სამუშაოს რეგულირებისა და ანაზღაურების წესებსაც, რომლის თანახმად, ღამის სამუშაოს ანაზღაურება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, თუმცა იგი უნდა იყოს იგივე დამსაქმებელთან იგივე პოზიციაზე დღის სამუშაოზე დასაქმებულის ხელფასის საათობრივი განაკვეთის 25%-ით გაზრდილი ოდენობისა.

## „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ორგანული კანონი

2019 წლის 25 ივნისს პარლამენტმა მიიღო და 2019 წლის 2 ივლისს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ორგანული კანონი. ორგანული კანონით განიმარტა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელისა და იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში გადასვლის წესი, რომლის დომინანტი პარტნიორი უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირია, ან იმ შემთხვევაში, თუ მისი დომინანტი პარტნიორის ვინაობა ვერ დგინდება.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტზე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფინანსურ ინსტიტუტზე არ ვრცელდება ორგანული კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მათი საკუთრების უფლება წარმოიშობა საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში (მათ შორის, უზრუნველყოფის საგნის კრედიტორის მიერ შემენის შემთხვევაში).

საყურადღებოა, რომ ამ ორგანული კანონით დადგენილი შეზღუდვები არ აჩერებს ამ ორგანული კანონის ამოქმედებამდე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე უფლების რეგისტრაციას.

და ბოლოს, რომ ორგანული კანონით გათვალისწინებული ორი წესი ამოქმედდება 2020 წლის 1 იანვრიდან, რომლებიც ეხება:

ა) საინვესტიციო გეგმით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გასხვისების ვალდებულებას; და

ბ) საინვესტიციო გეგმის საფუძველზე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის, რომლის საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, პარტნიორის იმგვარ ცვლილებას, რომლის შედეგადაც დომინანტი პარტნიორი უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი ხდება, ან იმ შემთხვევაში, თუ დომინანტი პარტნიორის ვინაობა ვერ დგინდება.

## საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კოდექსი

2019 წლის 4 ივლისს შევიდა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში. პირველყოფისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საგადასახადო კოდექსს გამოეყო საბაჟო კოდექსი (ნორმატიული აქტის ძირითადი ნაწილი ძალაში შედის 2020 წლიდან). ამდენად, საბაჟო სამართლით გათვალისწინებული საკითხების ძირითადი ნაწილი დარეგულირდება საბაჟო კოდექსით, თუმცა მასთან დაკავშირებულ საგადასახადო საკითხები კვლავაც საგადასახადო კოდექსის რეგულირების სფეროში დარჩება.

საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებებით, გაუქმდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის ცნება და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო კომპანიის მიმართ საკანონმდებლო რეგულირების დიაპაზონი უფრო ფართოა, ვიდრე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის შემთხვევაში გვევლინებოდა.

საგულისხმოა, რომ ასეთი სტატუსის გაცემის უფლებამოსილება საგადასახადო ორგანოს ნაცვლად საქართველოს მთავრობას მიენიჭა. განსხვავებით საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისგან, საერთაშორისო კომპანიის მიმართ არ იარსებებს საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების პრივილეგია. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადი დაიბეგრება 5 პროცენტით.

საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ფარმაცევტული საწარმოს ცნება, რომლის სტატუსსაც საწარმოს ანიჭებს საქართველოს მთავრობა. კოდექსში აისახა ფარმაცევტული საწარმოს მიმართ სხვადასხვა საგადასახადო შეღავათი, მათ შორის დღგ-ისგან გათავისუფლების შესახებ.

97-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვანია მანამდე არსებული პრაქტიკის ხარვეზიანობის შესავსებად. კერძოდ, ცვლილებებით განმარტებულია, რომ კოდექსით გათვალისწინებული გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით, ხოლო თუ მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი დამატებული ღირებულების გადასახადს მოიცავს – საბაზრო ფასით, დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. წინა რედაქციაში არ არსებობდა ჩანაწერი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დადგენილიყო საბაზრო ფასი, თუკი საქონლის/გაწეული მომსახურების ფასი მოიცავდა დღგ-ს. ასეთი საკითხები განიმარტებოდა იმგვარად, რომ დღგ-ის შემცველი საბაზრო ფასი უნდა დადგენილიყო დღგ-ის გათვალისწინებით, რასაც შემოთავაზებული რედაქცია გამორიცხავს.

ხელფასის სახით მიღებული შემოსავლების შესახებ 101-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა ნებისმიერი სახეობის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოსაყენებლად მიღების შესახებ მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. ახალი რეგულაციით, დაქირავებულის მიერ დაქირავებულის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოყენებით მიღებული სარგებელი ხელფასად მიიჩნევა და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, ავტომობილის ძრავის მოცულობის პროპორციულად. საყურადღებოა, რომ დაქირავებულის მიერ დაქირავებულის ელექტროძრავიანი ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოყენება საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება.

შეიცვალა დღგ-ის ჩათვლის განხორციელების მარეგულირებელი ნორმები, კერძოდ დღგ-ის ჩათვლა არ ხორციელდება იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, რომლებიც გადასახადის გადამხდელის (მყიდველის/ჩათვლის მიმღების) მიერ ასახული არ არის შესაბამის ვადაში წარმოდგენილ შემდეგ დეკლარაციაში: ა) მატერიალური (მათ შორის, კომპიუტერით ამობეჭდილი) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს მომდევნო 3 საანგარიშო პერიოდის მიხედვით ან არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით, დადგენილ ვადაში წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში (მათ შორის, დაზუსტებული დეკლარაციის წარმოდგენით); ბ) ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში ან არაუგვიანეს 3 კალენდარული წლის განმავლობაში, ამავე პერიოდის დაზუსტებულ დეკლარაციაში.

მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ისიც, რომ ცრუმაგიერი პირის დადგენის უფლებამოსილება აღარ ექნება საგადასახადო ორგანოს და ეს უფლება გადაეცა სასამართლოს.


# საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



**გიორგი თავართქილაძე**

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)



**გიორგი ხუროძე**

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

## თბილისი

### ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

[deloitte.ge](http://deloitte.ge)

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 286 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.